ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს სხდომის
ოქმი N 9
09.09. 2022

დღის წესრიგი:

1. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაში არჩევითი კურსის სილაბუსის „სმენის და მხედველობის სირთულეების მქონე მოსწავლეების განათლება“ დამტკიცება.

2. თსუ ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2002 წლისა და მაგისტრატურის 2004 წლის კურსდამთავრებულ ნინო ხაჭაპურიძის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

საბჭოს თავჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :

ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორები :

ლალი სურმანიძე, მზია წერეთელი.

ასოცირებული პროფესორები :

მანანა მელიქიშვილი, ირინე ჟვანია, მაია მესტვირიშვილი, ლუიზა არუთინოვა, ხათუნა მარწყვიშვილი, თეონა ლოდია, ია აფთარაშვილი, ანასტასია ქიტიაშვილი, ლილი ხეჩუაშვილი, თამარ აბაშიძე, ეკატერინე ფირცხალავა, შორენა მამუკაძე.

განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორი:

ქეთევან ჭკუასელი

ასოცირებული პროფესორი :

რუსუდან სანაძე, ზაქარია ქიტიაშვილი, იზაბელა პეტრიაშვილი.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ფაკულტეტის საბჭოს 19 წევრმა.

1. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაში არჩევითი კურსის სილაბუსის „სმენის და მხედველობის სირთულეების მქონე მოსწავლეების განათლება“ დამტკიცება.

პროფესორმა ქეთევან ჭკუასელმა წარმოადგინა არჩევითი კურსის სილაბუსი. ფაკულტეტის საბჭოს წევრები წინასწარ გაეცნენ განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ არჩევითი საგნის სილაბუსს „სმენის და მხედველობის სირთულეების მქონე მოსწავლეების განათლება“ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაში.

ფაკულტეტის საბჭომ კენჭი უყარა სილაბუსის დამტკიცებას.

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: დამტკიცდეს არჩევითი საგნის სილაბუსი „სმენის და მხედველობის სირთულეების მქონე მოსწავლეების განათლება“ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაში.

2. თსუ ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2002 წლისა და მაგისტრატურის 2004 წლის კურსდამთავრებულ ნინო ხაჭაპურიძის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თ. გაგოშიძემ საბჭოს წევრებს აცნობა, რომ თსუ–ს რექტორს განცხადებით მიმართა ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2002 წლისა და მაგისტრატურის 2004 წლის კურსდამთავრებულ **ნინო ხაჭაპურიძემ,** რომელიც ითხოვს მის სახელზე ახალი დიპლომებისა და დანართების მომზადებას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფაკულტეტი ვალდებულია **ნინო ხაჭაპურიძის,** სახელზე გასცეს ახალი დიპლომი მოქმედი ფორმით, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. (რექტორის N55/01–01 16.04.2014წ. ბრძანების შესაბამისად).

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება და დადგინდა, რომ ნინო ნიკოლოზის ასული ხაჭაპურიძე 1998 წელს (ბრძ. N4/570, 05. 08. 1998 წ.) ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების ფსიქოლოგიის სპეციალობაზე.
2002 წელს (ბრძ. N4/771, 04. 07. 2002 წ.) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სპეციალობის დღის სწავლების საბიუჯეტო განყოფილების კურსდამთავრებულ ნინო ნიკოლოზის ასულ ხაჭაპურიძეს მიენიჭა ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სპეციალობით.
ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2002 წლის 13 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი N1) გადაწყვეტილებით ფსიქოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულ ნინო ხაჭაპურიძეს მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგის კვალიფიკაციით, შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სპეციალობით.

2002 წელს აღნიშნული ბრძანებით საგანმანათლებლო პროგრამა დაასრულა 48 ბაკალავრმა. წარმოგიდგენთ ზემოარნიშნულ კურსდამთავრებულთა ნაწილობრივ (შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სპეციალობის საბიუჯეტო განყოფილების) სიას:

„მიენიჭოს ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სპეციალობით და მიეცეს შესაბამისი დიპლომი ფსიქოლოგიის ფაკულტეტის შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის, დღის დასწრებული სწავლების საბიუჯეტო განყოფილების კურსდამთავრებულებს:

დიპლომი წარჩინებით

1. **ხაჭაპურიძე ნინო**

დიპლომი ჩვეულებრივი

1. ლორთქიფანიძე რუსუდანი
2. ქვათაძე გიორგი
3. ჩხეიძე გიორგი
4. გოგიშვილი თამარი
5. ჯამარაშვილი თამარი
6. ხოსროშვილი ირაკლი

ვინაიდან საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ვერ დგინდება **ნინო ხაჭაპურიძის** სახელზე გასაცემი ახალი დიპლომის ფორმისათვის სავალდებულო მონაცემები, კერძოდ, მინიჭებული აკადემიური ხარისხი, საჭიროა ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2002 წლის ოქმებში შევიდეს შემდეგი შესწორება:

13 ივნისის შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის ოქმში (#1) დაფიქსირდეს შემდეგი კვალიფიკაცია: ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სპეციალობით.

2002 წელს ნინო ხაჭაპურიძე ჩაირიცხა (ბრძ. N4/930, 25. 07. 2002 წ.) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მაგისტრატურის საბიუჯეტო სექტორის შრომის ფსიქოლოგიის სპეციალობის პირველ კურსზე.
2004 წელს (ბრძ. N4/714, 05. 07. 2004 წ.) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის საბიუჯეტო განყოფილების მაგისტრატურის კურსდამთავრებულ ნინო ხაჭაპურიძეს მიენიჭა ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი, შრომის ფსიქოლოგიის სპეციალობით.
ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სახელმწიფო საატესტაციო კომისიის 2004 წლის 23 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი უნომრო) გადაწყვეტილებით ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულ ნინო ხაჭაპურიძეს მიენიჭა ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი, სპეციალობით შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია.
ამ შემთხვევაში ვერ დგინდება აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) ნომერი და აკადემიური ხარისხი, ამიტომ საჭიროა ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სახელმწიფო საატესტაციო კომისიის 2004 წლის 23 ივნისის შრომის ფსიქოლოგიის სპეციალობის შემაჯამებელი სხდომის ოქმში შევიდეს შემდეგი შესწორება: აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (**ოქმის) ნომრად პირობითად განისაზღვროს ნინო ხაჭაპურიძის კვალიფიკაციის მინიჭების ბძანების ნომერი, რომელსაც წილადის შემდეგ დაემატება ასო „პ“ (4/პ) და დაფიქსირდეს შემდეგი კვალიფიკაცია** ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი, შრომის ფსიქოლოგიის სპეციალობით. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდება ბრძანებაში მითითებულ შრომის ფსიქოლოგიის

სპეციალობის ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდება ინდივიდუალურად მომართვის შემთხვევაში.

დაადგინეს: ფსიქოლოგიის ფაკულტეტის 2002 წლის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 13 ივნისის შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სპეციალობის სხდომის ოქმში#1 მითითებულ კურსამთავრებულთა, მათ შორის ნინო ხაჭაპურიძის აკადემიური ხარისხად განისაზღვროს შემდეგი კვალიფიკაცია: ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სპეციალობით.

ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სახელმწიფო საატესტაციო კომისიის 2004 წლის 23 ივნისის შრომის ფსიქოლოგიის სპეციალობის შემაჯამებელი სხდომის ოქმის პირობით ნომრად განისაზღვროს 4/პ და დაფიქსირდეს შემდეგი კვალიფიკაცია ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი, შრომის ფსიქოლოგიის სპეციალობით. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდება ბრძანებაში მითითებულ შრომის ფსიქოლოგიის სპეციალობის ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდება ინდივიდუალურად მომართვის შემთხვევაში.

საბჭოს თავმჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

საბჭოს მდივანი: ასოცირებული პროფესორი ირინე ჟვანია